ბიბლიოთეკა
თბილისი
7990
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
12 სექტემბერი
1941 წ.
№ 216 (6221)
ფასი 15 კაპ.

მშობლიური ქალაქების, მშობლიური მიწა-წყლის დამცველნი

ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ სამამულო ომში საბჭოთა პატრიოტების მიერ შესრულებულ მრავალ საგმირო საქმეთა შორის ლენინგრადის, კიევის, ოდესის გმირული დაცვა გამოირჩევა, როგორც აღმაფრთოვანებელი მაგალითი სამშობლოსადმი და მშობლიური ქალაქისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, როგორც თავისი ძლიერებით განსაცვიფრებელი გამოვლინება მასობრივი სიმამაცისა, კოლექტიური გმირობისა. მშობლიური ქალაქების დამცველებმა — ლენინგრადელებმა, კიეველებმა, ოდესელებმა — თავიანთი მამაცობით მთელს საბჭოთა ხალხს გაათკეცებული ძალით აგრძნობინეს, თუ რა მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის ჩვენი ქალაქები და სოფლები, რა მშვენიერია მთელი ჩვენი სამშობლო, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა ასეთი ადამიანები. უსაზღვროა მწვავე სიძულვილი ფაშისტ მტარვალებისადმი, რომელთაც ხელი აღმართეს ჩვენი მიწა-წყლის წინააღმდეგ!

მთელ ჩვენს სამშობლოში მილიონობით ადამიანები ყოველდღიურად აღვიძებენ ლენინგრადზე, კიევსა და ოდესაზე ფიქრით. ეს ქალაქებია ჩვენი პირველი საზრუნავი. ჩვენ მათთან ერთად, მათი გრძნობებით, მათი აზრებით ვცოცხლობთ. ჩვენამდე ყოველდღე აღწევს მათი ხმა, ენერგიით აღსავსე, მხნეობით, გამარჯვების რწმენით გამსჭვალული ხმა. მათ იციან, რომ მთელი ქვეყანა მათთან არის. ისინი ძლიერნი არიან საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერით. ეს მრისხანე ციხე-სიმაგრეებად აქცევს ქალაქებს.

ლენინგრადის, კიევის, ოდესის გმირულმა დაცვამ ნამსხვრევებად აქცია ჰიტლერის თავხედური გეგმები — იოლად დაეპყრო საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი ქალაქები. ჰიტლერი კვეხნითა და გულზვიადად უბრძანებდა თავის ბანდიტებს: 2-3 დღეში აიღეთ კიევი, 2 დღეში—ოდესა. ფაშისტური პროპაგანდა ყოველდღე ჰპირდებოდა გულუბრყვილო გერმანელებს, რომ გერმანიის ჯარი დაუყოვნებლივ შევიდოდა ზეიმით მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ლენინგრადში...

ფაშისტთა გვამები გორებად აწყვია ჩვენი მშობლიური ქალაქების მისასვლელებთან. გაბოროტებულ მტრებს მოკლულები არ გააქვთ, დაჭრილები არ გაჰყავთ და საზარბაზნე ხორცის ახალ-ახალ გორებს აყენებენ. გერმანიას აქამდე ახსოვს 1914-1918 წლის ომის დროიდან ვერდენი. გერმანელი გენერლები უგუნური სიჯიუტით ჰყრიდნენ ასიათასობით ჯარისკაცებს უზარმაზარ ხორცსაკეპში საფრანგეთის ციხე-სიმაგრესთან მანამდე, სანამ არ უკუიქცნენ გაბოროტებისა და სასოწარკვეთილების უილაჯო ღმუილით. ვერდენმა ძალა გამოაცალა გერმანიის არმიას.

ერთი კი არა, უკვე მრავალი ვერდენი ელეტს ფაშისტთა გაგიჟებულ ურდოს. ჰიტლერის რუმინელმა მონამ გენერალმა ანტონესკუმ, თავის ულმობელი ბატონ-პატრონის ბრძანების მორჩილმა, მთელი თავისი არმიის ნახევარი მიაყარა ოდესას. ოდესელებმა ამ არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი გასწყვიტეს. გერმანულ-ფაშისტური და რუმინული ქოფაკები კვლავ მოძვრებიან და კვლავ ჰფენენ ფაშისტური ლეშით ოდესის მისასვლელებს.

უშიშარი დამცველნი ლენინგრადისა და კიევის მისასვლელებთან კონტრიერიშზე გადადიან და გამანადგურებელ ლახვარს სცემენ მტერს. ფაშისტთა 300-ზე მეტი თვითმფრინავი ნამტვრევებად ჰყრია ლენინგრადის მისასვლელებთან. ლენინგრადი, როგორც ქვის კედელი, ამსხვრევს ფაშისტთა გააფთრებულ მოწოლას.

წითელი არმიის ნაწილები მამაცურად იცავენ მშობლიურ ქალაქებს. ამ დღეებისა და კვირეების ალყის განმავლობაში ქალაქი ფრონტად იქცა. მცხოვრებნი შესანიშნავი სიმამაცის მაგალითების უშუალო მოწმენი გახდნენ. ოდესა ქება-დიდებას ასხამს თავის მშობლიურ შვილს იობ ისმეზისძე ბეგელფერს. მოკრძალებული წითელარმიელი თავისი ოცეულის მეთაურის ამხ. ბურავჩენკოს დაღუპვის შემდეგ ძახილით „შური ვიძიოთ მეთაურის სიკვდილისათვის!" რუმინელ-გერმანელ ფაშისტთა შუაგულში შეიჭრა. მან ხიშტითა და თოფის კონდახით მოსპო 22 ფაშისტი, თან გაიყოლია ამხანაგები და უკუაქცია „უმაღლესი რასის" წარმომადგენელნი.

შესანიშნავია სიმამაცე და ოსტატობა მფრინავებისა, რომლებიც ქალაქისაკენ გზას უღობავენ ფაშისტ სვავებს. როგორც ყოველთვის, თავისი უსაზღვრო მამაცობით, თავისი ხალხური ვაჟკაცობით გამოირჩევიან მეზღვაურნი. ისინი ზღვაზეც იბრძვიან და ხმელეთზეც.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძვიან მშობლიური ქალაქებისათვის ამ ქალაქთა შვილები—ვაჟები და ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მშვიდობიანი ქალაქელნი იყვნენ, დღეს კი იმ სახალხო არმიის მებრძოლები არიან, რომელიც მტერს უმკლავდება.

ჩვენს თავისუფალ ხალხს ზრდიდა ბოლშევიკების პარტია, ლენინ-სტალინის პარტია, რომელმაც შიში არ იცის ბრძოლაში. ჩვენმა ხალხმა აღმოფხვრა ჩვენს ქვეყანაში მონობისა და მონური გრძნობათა ფესვები. ჩვენი ხალხი ამაყი და თამამი ხალხია. იგი მშენებელი და შემოქმედი ხალხია. მან შექმნა ახალი ლენინგრადი, ახალი კიევი, ახალი ოდესა. ეს არა მარტო ახალი მშვენიერი სახლები, ახალი ქუჩები, ახალი ქარხნები, ახალი დასასვენებელი სახლები, კულტურის სახლები და თეატრებია. ეს, პირველ ყოვლისა, ახალი მშვენიერი ადამიანები, ჩვენი საუცხოო ახალგაზრდობაა, ჩვენი შვილები — ხალხის სიამაყე და იმედია. და ყოველივე ეს დასარბევად, გასანადგურებლად, საწამებლად და ტანჯვით მოსაკლავად მივცეთ ფაშისტ მხეცებს? არასოდეს არ მოხდება ეს!

ასეთი შეძახილით აღსდგა მთელი ლენინგრადი, მთელი კიევი, მთელი ოდესა თავისი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად. სახალხო ლაშქარმა თავისი საპატიო ადგილი დაიკავა მოწინავე პოზიციებზე წითელი არმიის ნაწილების გვერდით. სახალხო ლაშქარმა თავისი გმირები წარმოშვა. ლენინგრადში იცნობენ ფაბრიკა „სკოროხოდის" ზეინკალს ამხ. ვასილიევს, შესანიშნავ სნაიპერს. საგმირო საქმეებმა სახელი მოუხვეჭა მოლაშქრე ამხ. პიანკოვს, საყვარელ „იონიჩს", როგორც მას უწოდებენ მებრძოლნი.

ქალაქები სიმაგრეებს აგებენ. ისინი ქუჩაში ბრძოლის პრაქტიკას სწავლობენ. ქუჩები ბასტიონებად იქცევა, სახლები — ფორტებად. ოდესაში შექმნილია სათავდაცვო ნაგებობათა რამდენიმე წრე.

ჩვენ ყოველდღე გვესმის მშობლიური ქალაქების სახელოვან დამცველთა ხმა. მასში გამოსჭვივის რწმენა და ძალა. მიმდინარეობს განუწყვეტელი, დაძაბული მუშაობა ფრონტისათვის. ლენინგრადელი მუშა ამხ. კაზაკოვი ამბობდა: „ჩემი მშობლიური კიროვის სახელობის ქარხანა, ისევე როგორც მთელი ლენინის ქალაქი, ერთი აზრით სცოცხლობს — ყველაფერი მისცეს ფრონტს, ყველაფერი მოახმაროს გამარჯვებას. ათასობით კიროველები იარაღით ხელში იცავენ თავის ქალაქს, ხოლო თვითეული ქარხანაში დარჩენილი ორის, სამის მაგივრად მუშაობს... ლენინგრადის მთელი სახელოვანი ინდუსტრია იარაღის გიგანტურ სამჭედლოდ გადაიქცა და, როგორც მეომრები იბრძვიან ფრონტზე, ისევე შრომობენ თავიანთ დაზგებთან ლენინგრადელი მუშები".

დიდი და მრისხანეა ის საფრთხე, რომელიც ემუქრება ლენინგრადს, კიევს, ოდესას. სასტიკი და ულმობელი მტერი არავითარ ძალღონეს არა ზოგავს, რათა ხელში ჩაიგდოს, გაძარცვოს ეს ქალაქები, საბჭოთა ადამიანების სისხლით მორწყოს ქუჩები და მოედნები, დაიმონოს, აწიოკოს საბჭოთა ადამიანები. მტერი ახალ-ახალ დივიზიებს გზავნის ცეცხლში. იგი ცდილობს მჭიდრო სალტედ შემოარტყას ალყა ამ ქალაქებს. მაგრამ ჰიტლერელი ბანდიტები მამაც საბჭოთა ადამიანებს ვერ შეაშინებენ! ისინი მტკიცედ და უშიშრად მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, მშობლიური ქალაქის წინაშე. მათ იციან, რომ საზიზღარ მტერზე გასამარჯვებლად საჭიროა გაორკეცონ, გაასამკეცონ ღონისძიებანი, საჭიროა მოიკრიბონ მთელი თავიანთი ნებისყოფა, გამოიჩინონ რკინისებრი გამძლეობა.

მტერს უდიდესი ზარალი მოსდის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ლახვარნაცემი იგი სისხლისაგან იცლება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ძლიერია, რესურსები მას ჯერ კიდევ არ გამოლევია. იგი მოისწრაფვის ლენინგრადისაკენ, კიევისაკენ, ოდესისა და სხვა საბჭოთა ქალაქებისაკენ, რაკი იცის, რომ დრო მის წინააღმდეგ მუშაობს. დაჭრილი ფაშისტი მხეცის სასოწარკვეთილ ნახტომებს უნდა დაუპირისპიროთ მთელი საბჭოთა ხალხის მედგარი და შეუდრეკელი წინააღმდეგობა.

ბოლშევიკური ორგანიზებულობა, რკინისებრი დისციპლინა, უმკაცრესი რევოლუციური წესრიგი ქალაქში, სიფხიზლე და შეუბრალებლობა მხდალებთან, პანიკიორებთან და დეზერტირებთან ბრძოლაში — ყოველივე ეს ჩვენს ქალაქებს აქცევს მტრისათვის მრისხანე ციხე-სიმაგრეებად.

ჩვენი სახელოვანი დამცველნი მშობლიური ქალაქებისა, ლენინგრადის, კიევის, ოდესის გმირები მაგალითს გვაძლევენ, თუ როგორ უნდა დავიცვათ ყოველი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყალი. გავჟლიტოთ ჰიტლერელი მხეცები ყოველ ქალაქთან, ყოველ სოფელთან! გავჟლიტოთ გზებზე და გადასასვლელებზე! გავჟლიტოთ ხმელეთზე, ჰაერში და წყალზე! მედგრად დავიცვათ ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი! ლენინგრადის, კიევის, ოდესის მისადგომებზე უკვე მოსპობილია ფაშისტთა მრავალი დივიზია. განადგურებულ იქნება ფაშისტთა მთელი ურდოც.

„პრავდის" მოწინავე, 11/IX

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 სექტემბრის დილის ცნობა

10 სექტემბერს, ღამით, ჩვენი ჯარები მედგარ ბრძოლას განაგრძობდნენ მტერთან მთელ ფრონტზე.

* * *

ოდესის მისადგომებზე რუმინელ-გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ თავდადებით იბრძვის პოლკი ამხ. სერებროვის მეთაურობით. არის ისეთი დღეები, როდესაც პოლკი დღე-ღამეში რამდენიმე იერიშს იგერიებს. ამასწინათ ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს რუმინელთა 1-ლი ეგერთა პოლკის გააფთრებული იერიში. რუმინელები ხშირ კოლონებად დაიძრნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. მეტყვიამფრქვევე თემიროვმა ახლოს მოუშვა მტერი და პირველმა დაუშინა ცეცხლი მტრის წინა მწკრივებს. მის შემდეგ შეტევაზე გადმოსულ მტერს ფლანგებიდან და პირისპირ დაუშინეს დანარჩენმა მეტყვიამფრქვევეებმა. იერიში მტრისათვის სავალალოდ დამთავრდა. რუმინელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს ასობით გვამი და უკუიქცნენ.

მეორე ბრძოლაში ამხ. სერებროვის პოლკმა მედგრად გაუძლო რუმინელთა დიდი ნაწილის იერიშს, რასაც ხელს უწყობდა მტრის 50 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიით, საწვავიანი ბოთლებითა და ხელყუმბარებით მოსპეს მტრის 20-ზე მეტი ტანკი, შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდნენ და რუმინელები უკუაქციეს.

* * *

ძლიერი წვიმისა და დაბალი მოღრუბლულობის მიუხედავად, გამანადგურებელ მფრინავთა ჯგუფი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი შოლუპოვი მეთაურობს და, რომელიც ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს, წარმატებით დაესხა თავს მტრის აეროდრომს. თავდასხმა ფაშისტებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენმა მფრინავებმა პირველი თავდასხმისთანავე ცეცხლი გაუჩინეს და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანეს 7 „მესერშმიტი" და რამდენიმე ყუმბარმშენი. ამ აეროდრომზე თავდასხმის დროს განსაკუთრებით ისახელეს თავი უფროსმა ლეიტენანტმა შოლუპომა და ლეიტენანტმა აქსენოვმა, რომლებმაც მტრის 4 თვითმფრინავი მოსპეს.

* * *

ფრონტის ყველა უბნიდან მოდის ცნობები საბჭოთა არტილერისტების გულადი მოქმედების შესახებ. ფრონტის დასავლეთის მიმართულებით შეუპოვარ ბრძოლაში ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნემ, უმცროსმა სერჟანტმა მაკოზობოვმა მარჯვე სროლით გაანადგურა მტრის 7 ტანკი.

ლეიტენანტ კულეშოვის ბატარეა, რომელიც ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს, ხელს უწყობდა მსროლელთა ქვედანაყოფს. არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით გაანადგურეს გერმანელთა 5 ტანკი, 2 ტყვიამფრქვევი და 2 ნალმტყორცნი.

ლეიტენანტ ფედორენკოს ბატარეის არტილერისტებმა ერთს ბრძოლაში გაანადგურეს მტრის 7 ტყვიამფრქვევის ბუდე, მტრის მოტოციკლისტების დიდი ჯგუფი და გერმანელთა 8 საპოლკო ქვემეხი. ბატარეის მებრძოლებმა სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში მოსპეს 29 ტყვიამფრქვევი, 5 ნალმტყორცნი და 2 ხანგრძლივი ხე-მიწის საცეცხლე წერტილი.

* * *

ფაშისტთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ რკინიგზის შემადგენლობას, რომელშიც საწვავიანი ცისტერნები იყო. ყუმბარების აფეთქების გამო ცეცხლი გაუჩნდა ამ შემადგენლობის ერთერთ ვაგონსა და ორთქლმავალს. ცეცხლი შეიძლებოდა გადასულიყო ბენზინიან ცისტერნებზე. სადგურში მყოფმა რკინიგზელთა ასეულის მებრძოლებმა ამხ. რუზანოვმა, ტიტოვმა, გრიგორიევმა, ანტონოვმა და სოტნიკოვმა მარჯვე მუშაობით ჩააქრეს ხანძარი. ამ დროს განსაკუთრებული მამაცობა და გამჭრიახობა გამოიჩინა რკინიგზელთა ასეულის უმცროსმა მეთაურმა ამხ. სპასკიმ. იგი შეახტა ალმოდებულ ორთქლმავალს, სრული სიჩქარით წაიყვანა, ცეცხლი ჩააქრო, შემდეგ კი ოსტატური მანევრობით სწრაფად დაშალა და აქეთ-იქით დაანაწილა შემადგენლობა.

* * *

4-5 სექტემბერს უფროსი სერჟანტის ბაზილევსკის ნალმტყორცნმა ბატარეამ მოსპო ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნების 4 გუნდი და მტრის 3 ჯავშნიანი მანქანა. ერთერთ ბრძოლაში ნალმტყორცნელნი ალყაში მოექცნენ. მამაცმა მებრძოლებმა ამხ. ბაზილევსკის მეთაურობით გაანადგურეს ფაშისტთა 2 ოცეული ქვეითელნი და ალყიდან ისე გამოვიდნენ, რომ არცერთი თავისი ნალმტყორცნი არ დაუკარგავთ.

* * *

წითელარმიელთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტის კანოტოპოვის მეთაურობით დაზვერვას აწარმოებდა მტრის ზურგში. ჰაერში მტრის თვითმფრინავი-გამანადგურებელი გამოჩნდა. თვითმფრინავმა რკალი გააკეთა ტყის თავზე და შემდეგ დაეშვა მინდორზე წითელარმიელთა მახლობლად. მზვერავნი ჩუმად მიიპარნენ იმ ადგილას, სადაც თვითმფრინავი იძულებით დაეშვა და ხელთ იგდეს ფაშისტთა ავიაგამანადგურებელი. მებრძოლებმა მანქანას მოხსნეს ძვირფასი ხელსაწყოები, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდეს მას.

* * *

დღითი-დღე ძლიერდება საზიზღარ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი პარტიზანების აქტივობა. პარტიზანთა რაზმები ელეტენ ფაშისტ ჯარისკაცთა ცალკეულ ჯგუფებს, თავს ესხმიან მცირე სამხედრო ქვედანაყოფებს, სპობენ მტრის იარაღსა და სამხარ მასალას. კიევის ოლქის დაბა ჟაშკოვში გერმანელებმა შეაგროვეს დასავლეთიდან ჩამოყვანილი ბევრი ცხენი. 3 სექტემბერს საღამოს პარტიზანთა რაზმი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. კ-ის მეთაურობით თავს დაესხა გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებსაც ცხენები დასარწყულებლად მიჰყავდათ. პარტიზანებმა ინტენსიური სროლა ასტეხეს. ფაშისტები შიშმა მოიცვა. გერმანელებმა ცხენები მიატოვეს და გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ მოსპობილ იქნენ პარტიზანთა თოფის ცეცხლით. ამის შემდეგ პარტიზანებმა გაანადგურეს გერმანელთა მთელი გარნიზონი დაბისა, მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და 8 ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 125 ცხენი, 80 შაშხანა, 10 საზიდი კონსერვებითა და პურის ფქვილითურთ, 20 ათასი შაშხანის ვაზნა და პატარა მოძრავი რადიოსადგური.

* * *

ბელგიისა და საფრანგეთის მშრომელები სულ უფროდაუფრო აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ფაშისტ ოკუპანტებს. ამ უკანასკნელ დღეებში გაიფიცნენ ბელგიელი მაღაროელები შარლრუას შახტებში და ჰერსტალის თოფხანის მუშები ლიეჟში. გაფიცვის შედეგად ორი შახტი წყალმა წალეკა. გრიზელის შახტებში ანტიფაშისტებმა ცეცხლი გაუჩინეს სამხარი მასალის დიდ საწყობს. საწყობი სრულიად გადაიწვა. შახტებში მუშაობა შეჩერებულია. ბიგების უქონლობის გამო 12 საჩრევი ჩამოშვავდა, ვენ-ვალტის ქვანახშირის მაღაროებში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ელექტრომოტორი. შახტი რამდენიმე დღეს უქმად იყო.

საფრანგეთში გაიფიცნენ ჰავრის, სოტვილისა და ეკვილის რკინიგზელები—ქვემო სენის დეპარტამენტში და მონდვილისა — კალვადოსის დეპარტამენტში. ვიერზონთან პატრიოტმა რკინიგზელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი.

* * *

კოლმეურნეობანი გამალებით ამზადებენ წითელი არმიის ცხენებისა და საკოლმეურნეო პირუტყვისათვის საკვების უხვ მარაგს. კუიბიშევის, ვორონეჟის, ტამბოვის, გორკისა და რიაზანის ოლქების კოლმეურნეებმა უკვე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს თიბვის წლიური გეგმა. ყირგიზეთის სს რესპუბლიკამ ერთნახევარჯერ მეტი თივა დაამზადა, ვიდრე შარშან. ფრუნზეს ოლქის ბუდიონის რაიონის კოლმეურნეობებმა ერთი-ორად გადააჭარბეს საკვებთა დასილოსების გეგმას. ჩიტის ოლქის პეტროვსკ-ზავოდის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ნოვოსელმა" ბალახის სარეკორდო მოსავალი მიიღო. მან ჰექტარზე 35 ცენტნერი თივა აიღო. ხარკოვის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „გიგანტმა" დამატებით აიღო 700 ცენტნერი თივა, ვორონეჟის ოლქის ოხოვატკის რაიონის 1-ლი მაისის სახელობის კოლმეურნეობა მეორედ თიბავს 40 ჰექტარ სამყურას და 20 ჰექტარ მდელოს. პირველი სექტემბრისათვის სსრ კავშირში ჩაბარებულია ერთნახევარჯერ მეტი სილოსი, ვიდრე 1940 წლის ამავე რიცხვისათვის იყო.

11 სექტემბრის საღამოს ცნობა

11 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

ჩვენი ავიაცია სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით თავს ესხმოდა მტრის მოტომექანიზებულ ნაწილებს, ქვეითი ჯარსა და არტილერიას და სპობდა ავიაციას მტრის აეროდრომებზე.

9 სექტემბრის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში, საზენიტო არტილერიის ცეცხლით და მტრის აეროდრომებზე მოსპობილ იქნა გერმანიის 81 თვითმფრინავი. ჩვენ 41 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

საბჭოთა მფრინავები თავს ესხმიან გერმანელ ფაშისტთა ჯარებსა და ავიაციას ფრონტის ყველა უბანზე. ამხ. ტოლსტიკოვის ნაწილის მფრინავებმა სექტემბრის ათი დღის განმავლობაში სახმელეთო ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით მოსპეს და მწყობრიდან გამოიყვანეს 15 ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა, 5 ქვემეხი, სამხარი მასალებით დატვირთული 25 ურემი, დასწვეს ბენზინით სავსე რამდენიმე ცისტერნი. მოპიკირე ყუმბარმშენთა ჯგუფმა საბჭოთა კავშირის გმირის, ბატალიონის უფროსი კომისრის კოსტილევის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანელთა საარტილერიო ბატარეებზე. მფრინავებმა ერთიმეორის მიყოლებით პიკირებით დაუშინეს ყუმბარები მტრის ბატარეებს. ყუმბარების აფეთქებით მოსპობილ იქნა 12 მძიმე ქვემეხი. მოიერიშე ავიაციის მფრინავმა უფროსმა ლეიტენანტმა ეფიმ რეიტერმა სამჯერ მიიტანა შეუპოვარი იერიში გერმანელთა აეროდრომზე, სპობდა მტრის თვითმფრინავებსა და ცოცხალ ძალას. მის თვითმფრინავს, რომელიც ტყვიით რამდენიმე ადგილას იყო გახვრეტილი, უკან დაბრუნებისას თავს დაესხნენ „მესერშმიტები". უფროსმა ლეიტენანტმა მათ წინააღმდეგ ფრონტალური იერიში მიიტანა. ფაშისტთა ერთმა ავიაგამანადგურებელმა ბრძოლას თავი აარიდა და ტყეს მიასკდა, მეორე მიიმალა. იმ საავიაციო ნაწილის აქტივში, რომელსაც ამხ. ბელოვი მეთაურობს, ირიცხება ფაშისტთა 96 ჩამოგდებული და მიწაზე მოსპობილი თვითმფრინავი. ცალკეულმა მფრინავებმა უკვე ჩამოაგდეს რამდენიმე თვითმფრინავი თითომ. მათ შორის [illegible] არის მფრინავი-გამანადგურებელი კაპიტანი სავჩენკო, რომელმაც მოსპო 10 ყუმბარმშენი და ავიაგამანადგურებელი, მსროლელ-რადისტი ამხ. ტკაჩი, რომელმაც 8 თვითმფრინავი ჩამოაგდო. დასავლეთის მიმართულებით მომქმედი ქვედანაყოფის მფრინავებმა ამხანაგებმა ბოროვჩენკომ და გედადულინმა ერთი თვის განმავლობაში ხუთ-ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. გრინკომ ლენინგრადის მისასვლელებზე 12 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულებით მომქმედმა ჩვენმა ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანიის მე-47 სატანკო კორპუსს, რომელიც გაძლიერებული იყო არტილერიითა და ქვეითი ჯარით. მარწუხში მოაქციეს რა მტრის სატანკო პოლკები, რომლებიც ჩვენი ნაწილების განლაგების ზოგიერთ ნაწილში სოლივით იყვნენ შეჭრილი, საბჭოთა ჯარებმა ისინი ქვეითი ჯარს მოსწყვიტეს და ნაწილ-ნაწილ მეთოდურად მოსპეს. იმ ნაწილის ტანკისტებმა, რომელსაც ამხ. ივანოვი მეთაურობს, ერთერთ ბრძოლაში მოსპეს გერმანიის 79 ტანკი, 32 ქვემეხი, 2.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და გაანადგურეს ფაშისტთა ორი პოლკის შტაბები. ამხ. პოპოვის ბატარეის არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით და დახურული პოზიციიდან წარმოებული ცეცხლით გაანადგურეს მტრის 21 ტანკი და გერმანიის 2 საარტილერიო ბატარეა.

* * *

კალინინის ოლქის დასავლეთ რაიონებში, რომლებიც ჰიტლერელთა არმიას აქვს დაპყრობილი, დღითიდღე ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა. ნეველის გარშემო მომქმედმა რაზმებმა უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მოაწყეს 80-ზე მეტი თავდასხმა ფაშისტურ ჯარებზე, ტრანსპორტებზე, საწყობებზე, კომუნიკაციებსა და აეროდრომებზე. ამ თავდასხმათა შედეგად მოკლული და დაჭრილია 750-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, ოფიცერი და მოხელე. პარტიზანებმა მოსპეს მტრის 24 ტანკი, 9 ჯავშნიანი ავტომანქანა, 13 ქვემეხი, 52 სატვირთო და 7 მსუბუქი ავტომანქანა, 44 მოტოციკლი, 217 ველოსიპედი, ათასზე მეტი შაშხანა და 140 ავტომატი. რაზმებმა დასწვეს ფაშისტთა სამხარი მასალების 4 საწყობი, საწვავით სავსე 21 ავტოცისტერნი, სურსათის 8 ალალი და გერმანელების მიერ ნორვეგიიდან ამასწინათ ჩამოტანილი საზამთრო ტანსაცმლის 3 საწყობი. გარდა ამისა, პარტიზანებმა აეროდრომებზე მოსპეს ფაშისტთა 4 ყუმბარმშენი და 2 საიერიშო თვითმფრინავი.

* * *

განსაკუთრებული გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ მებრძოლები პარტიზანული რაზმისა, რომელსაც ფოსტის მუშაკი ამხ. ე. მეთაურობს. 3 სექტემბრის საღამოს პარტიზანებმა, შეიტყეს, რომ პოდბერეზიეს მხრიდან დუნაევის მიმართულებით მიდიოდა გერმანელთა ქვეითი ასეული. პარტიზანები მივიდნენ დუნაევთან პოდბერეზიედან მიმავალი გზატკეცილის მხრივ და სროლა აუტეხეს დუნაევში მყოფ ფაშისტურ ჯარებს. ორივე მხრივ გაჩაღდა ინტენსიური სროლა. ფაშისტებმა პარტიზანების წინააღმდეგ მსროლელთა 3 ოცეული გამოიყვანეს. ამ დროს პოდბერეზიეს მხრიდან გერმანელთა ასეული მოვიდა. მაშინ პარტიზანებმა შეწყვიტეს სროლა და მიიმალნენ. ვერ გაერკვიენ რა ვითარებაში, გერმანელთა ორივე რაზმმა ერთმანეთს დაუწყო ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების სროლა. სანამ ფაშისტები ერთმანეთს იცნობდნენ, მოკლულ იქნა 30-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

რაზმმა ზოოტექნიკოს ამხ. ქ-ს მეთაურობით გაბედული თავდასხმა მოახდინა უსვიატოვოზე. პარტიზანებმა დახოცეს 80-მდე ფაშისტი ჯარისკაცი, ააფეთქეს ხიდი მდინარე სვიატაზე, სამხარი მასალებისა და სურსათის სამი საწყობი და მოსპეს 6 სატვირთო ავტომანქანა. წამოიღეს რა დიდძალი იარაღი, პარტიზანებმა დასტოვეს სოფელი. მტს-ის ბუხჰალტერ ამხ. პ-ს პარტიზანული რაზმის მებრძოლებმა გზის დიდ ნაკვეთზე გუბანის მახლობლად დაყარეს რკინის წვეტიანი ნამსხვრევები და ლურსმნები. გერმანელ მოტოციკლისტთა რაზმი, რომელიც ამ გზით მიდიოდა, შეჩერდა იმის გამო, რომ ოცზე მეტ მოტოციკლს საფარები გაეხვრიტა. როდესაც ფაშისტები საფარების გამოცვლას შეუდგნენ, მათ თავს დაესხნენ პარტიზანები. პარტიზანებმა დახოცეს 25 გერმანელი ჯარისკაცი, გაიტაცეს მოტოციკლები და მიიმალნენ.

* * *

ალბანეთში უფროდაუფრო ძლიერდება განმათავისუფლებელი მოძრაობა. ალბანელმა პატრიოტებმა 1 და 2 სექტემბერს გერგიანის ჩრდილოეთით დაამარცხეს 75 კაცისაგან შემდგარი იტალიელ მსროლელთა რაზმი და მოსპეს სამთო ქვემეხების ბატარეა.

შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ პარტიზანები იტალიელ და გერმანელ დამპყრობლებს საბერძნეთში. სალონიკის ნავსადგურში სექტემბრის პირველი სამი დღის განმავლობაში ორი დიდი ხანძარი მოხდა იტალიაში გასამგზავრებლად მომზადებულ იტალიურ ტრანსპორტებზე. ხანძრებთან დაკავშირებით იტალიის ჟანდარმერიამ ნავსადგურის ახლო მეტი ბერძენი მუშა დააპატიმრა. ამის საპასუხოდ ბერძენი მტვირთავები გაიფიცნენ. იტალიელები იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებულები. საბერძნეთის ნავსადგურ პირეიში იტალიელებმა სცადეს აქ ჩაძირული გემების ამოღება. ამ დღეებში ერთერთ ამოღებულ და ნაპირ[illegible] ცეცხლი წაუკიდეს და გემი ხელახლა ჩაიძირა.

* * *

ფაბრიკებსა და ქარხნებში უფროდაუფრო ფართოდ ვრცელდება ორასოვანთა სტახანოვური მოძრაობა. ასიათასობით საბჭოთა პატრიოტები, გმირულად ეხმარებიან რა ფრონტს, თავიანთ ნორმას ყოველდღე 200-300 და მეტი პროცენტით ასრულებენ. სამამულო ომის დღეებში კიროვის ქარხნის მუშების უმრავლესობა ორ და სამ ნორმას იძლევა. მარტის სახელობის ქარხანაში ამხ. ალექსანდროვი სისტემატურად 3 ნორმას ასრულებს. ახალგაზრდა ხარატმა ამხ. ზუბკომ 60 საათის განმავლობაში შეასრულა სამუშაო, რომლისთვისაც წინათ 210 საათი იყო გათვალისწინებული. იაროსლავლის ქარხანა „კრასნი მაიაკის" მრ-5 საამქროს ახალგაზრდათა ჯგუფში ყველა მუშა ცვლაში ორ-ორ ნორმას იძლევა. მუშა ქალი ამხ. ბორისოვა ცვლაში სპრის 200 კბილანას, როდესაც ნორმით გათვალისწინებულია 68. მუშა-ქალი ამხ. მარშოვა ასწრებს 350 მილისის მოქლონვას, როდესაც ნორმით გათვალისწინებულია 96. სადგურ ობლუჩიეს დეპოს მუშა ამხ. ეჟოვი ცვლაში 5 ნორმას ასრულებს. კუიბიშევკა-ვოსტოჩნაიას დეპოს მუშა-ქალი პაკშეევა ცვლაში 10 ნორმას ასრულებს. ხაბაროვსკის საორთქლმავლო დეპოს ზეინკლები ამხ. სტრელცოვი, გრიშაევი, ელექტრო-შემდუღებელი ამხ. ხუდიაკოვი, ხარატები ამხ. ბურდენკო, ცუკანოვი და მრავალნი სხვანი ყოველდღე 6-7 ნორმას ასრულებენ. ჩრდილოეთის გზის სადგურ ბუის ორთქლმავალ-სარემონტო დეპოს თითქმის ყველა მუშა ცვლაში ორ-ორ ნორმას იძლევა. დეპოს ხარატი ამხ. კუზმინი დავალებას 500-600 პროცენტით ასრულებს. მოხარატების საამქროში მებანდაჟე ამხ. ნიკიშინი 3 დაზგის მომსახურებაზე გადავიდა და თავისი დღიური გამომუშავება 600 პროცენტამდე აიყვანა.

(მიღებულია რადიოთი საქ. რადიოკომიტეტის მიერ).

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

10 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბულგარეთის დესპანი ბ-ნი სტამენოვი და საბჭოთა მთავრობის სახელით შემდეგი წარდგინებით მიმართა ბულგარეთის მთავრობას:

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს პატივი აქვს საბჭოთა მთავრობის დავალებით განუცხადოს ბულგარეთის მთავრობას შემდეგი:

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გერმანია ვერაგულად თავს დაესხმოდა სსრ კავშირს, ბულგარეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მიმართ ისეთი პოზიცია დაიკავა, როგორიც შეუთავსებელია ბულგარეთის მთავრობის ოფიციალურ დაპირებებთან, რომ ბულგარეთს სსრ კავშირთან ლოიალური და ვითომ მეგობრული დამოკიდებულებაც კი აქვსო. საბჭოთა მთავრობამ თავის დროზე არაერთხელ მიაქცია ბულგარეთის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს პოზიცია ეწინააღმდეგება ორი ქვეყნის ნორმალურ ურთიერთობას, და დაჟინებით მოითხოვდა ბოლო მოეღებოდა ასეთ სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობას. საბჭოთა კავშირის მიმართ ბულგარეთის მთავრობის არამეგობრულ პოზიციაზე საბჭოთა მთავრობამ სპეციალურად მიაქცია ბულგარეთის მთავრობის ყურადღება ჯერ კიდევ ა. წ. 14 იანვარს, 4 თებერვალს, 20 თებერვალს და მთელ რიგ სხვა შემთხვევებში.

სსრ კავშირისადმი ბულგარეთის მთავრობის არამეგობრული და, უფრო მეტი, არალოიალური დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ჰიტლერის გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული ცნობები მოწმობენ, რომ ამ უკანასკნელ ხანს ბულგარეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხარი მოქმედების გაშლის პლაცდარმი ხდება გერმანიის, იტალიის, რუმინეთისა და სხვა სახელმწიფოთათვის, რომლებიც თავს დაესხნენ სსრ კავშირს. ამა წლის გაზაფხულზე ბულგარეთმა, თუმცა მას ფორმალურად არც საბერძნეთისათვის და არც იუგოსლავიისათვის არ გამოუცხადებია ომი, მათზე გერმანიისა და იტალიის თავდასასხმელად პლაცდარმის როლი შეასრულა და გერმანიასა და იტალიას დაუთმო თავისი ტერიტორია ამ თავდასხმის ბაზად. საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული ყველა ფაქტი უდავოდ მოწმობს, რომ ბულგარეთი ახლა საბჭოთა კავშირზე გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო თავდასხმის პლაცდარმად გადაიქცა და რომ ბულგარეთის ტერიტორიას იყენებენ ოდესასა, ყირიმსა და კავკასიაზე თავდასხმისათვის.

ამას მოწმობენ შემდეგი ფაქტები:

1. ბულგარეთის ტერიტორიაზე თავმოყრილია გერმანელთა და იტალიელთა დივიზიები, რომელთა რაოდენობა მატულობს და რომლებსაც აგროვებენ ოდესისა და ყირიმის წინააღმდეგ სადესანტო ოპერაციებისათვის.

2. ბულგარეთის აეროდრომებზე თავს უყრიან გერმანიის სამხედრო ავიაციას და ბულგარეთის აეროდრომები გერმანელ სამხედრო ხელისუფალთა კონტროლქვეშ იმყოფებიან.

3. ბულგარეთის ნავსადგურები შავ ზღვაზე—ვარნა და ბურგასი—მომარჯვებულია გერმანიისა და იტალიის წყალქვეშა ნავებისა და სამხედრო გემების ბაზად.

4. როგორც ბულგარეთის შავი ზღვის ნავსადგურებში (ვარნა, ბურგასი), ისე ბულგარეთის დუნაის ნავსადგურ რუშჩუკში თავს უყრიან გერმანიისა და იტალიის სამხედრო გემებსა და წყალქვეშა ნავებს, აგრეთვე გერმანიისა და იტალიის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილებს.

5. ამჟამად ბულგარეთში მყოფი გერმანელი ადმირალი რედერი და გერმანიის სამხედრო-საზღვაო შტაბის სხვა წარმომადგენლები გერმანიისა და ბულგარეთის წყალქვეშა ნავებისა და სამხედრო გემებისაგან შავ ზღვაზე ჰქმნიან სამხედრო ფლოტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხარი ოპერაციებისათვის, რომლებიც მზადდება.

6. ბულგარეთის რკინიგზებით გადაჰყავთ გერმანიის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, გადააქვთ აგრეთვე გერმანიის სამხარი მასალა.

7. გერმანელ ხელისუფალთა მიერ რუშჩუკთან დუნაიზე აგებულია ნავტიკის ხიდი, რომელსაც გერმანიის ჯარების გადასაყვანად და სამხარი მასალის გადასატანად იყენებენ.

ბულგარეთის მთავრობის არაერთგზისი ცდა—საბჭოთა კავშირისათვის დაებრალებინა თვითმფრინავებიდან ბულგარეთის ტერიტორიაზე ყუმბარების ჩამოყრა, ამ ბრალდების აშკარად დაუჯერებელი და ცილისმწამებლური ხასიათის მიუხედავად და საბჭოთა მთავრობის მიერ არაერთგზისი კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, ის გარემოება, რომ ბულგარეთის დედაქალაქის ცენტრში 7 სექტემბერს პროვოკაციულად ესროლეს საბჭოთა სამხედრო ატაშის თანაშემწეს, და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ბევრი სხვა პროვოკაციული აქტი, რომელიც ბულგარეთში მოხდა, რომ აღარა ვთქვათ რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ—სამტრად განწყობ კამპანიაზე, რაც აშკარად სწარმოებს ოფიციოზური ბულგარული პრესის ფურცლებზე, — ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბულგარეთის მთავრობა არა თუ არ იცავს საბჭოთა კავშირისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას, არამედ ხელსაც კი უწყობს სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ აქტებს.

ყველა ეს ფაქტი, ისევე როგორც ბულგარეთში ამ უკანასკნელ ხანს სამხედრო-რეპრესიული რეჟიმის სასწრაფოდ შემოღება, იმას მოწმობს, რომ ბულგარეთი გერმანიასთან ერთად სსრ კავშირზე ერთობლივი თავდასხმისათვის ემზადება. რუმინეთის მსგავსად, ბულგარეთი ჰიტლერის გერმანიის მიერ გადაქცეულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხარი მოქმედების პლაცდარმად სსრ კავშირზე შავი ზღვიდან თავდასხმისათვის.

ზემონათქვამის მიხედვით, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მიმართოს ბულგარეთის მთავრობას ამ წარდგინებით და მიაქციოს მისი ყურადღება იმას, რომ საბჭოთა კავშირისადმი ბულგარეთის მთავრობის პოზიცია და მოქმედება არალოიალურია და არ შეესაბამება სსრ კავშირთან ნორმალურ ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოს პოზიციას და მოქმედებას, რაც, საბჭოთა მთავრობის ღრმა რწმენით, ასევე არ შეესაბამება თვით ბულგარეთისა და ბულგარელი ხალხის ინტერესებს".

საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშებს, მუშა-ქალებს, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მესამე თვეა მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის იმედი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ „ელვისებური ომისა" ჩაიფუშა. ჰიტლერს იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდა, იგი ტრაბახით აცხადებდა, რომ 5-6 კვირაში ბოლოს მოუღებდა წითელ არმიას.

მაგრამ კვირა კვირას მისდევს, გადის თვეები, პირსისხლიანმა ჰიტლერმა კი თავის მიზანს ვერ მიაღწია და ვერც მიაღწევს.

დღითიდღე იზრდება ჩვენი ძალები, მატულობს და მტკიცდება ჩვენი წინააღმდეგობა მტრისადმი.

წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სტალინური ავიაცია გმირულად ებრძვიან ფაშისტთა ურდოებს, ასუსტებენ, არაქათს აცლიან მათ, სულ უფრო და უფრო გამანადგურებელ ლახვარს სცემენ. წითელმა არმიამ გაანადგურა ფაშისტთა საუკეთესო დივიზიები, იგი კვლავ სპობს მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ჯერ კიდევ მოგველის მედგარი, ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლა. საბჭოთა ადამიანებს სავსებით შეგნებული აქვთ ეს.

ოდნავი თვითდამშვიდებაც კი არ შეიძლება ჰქონდეთ და არ ექნებათ საბჭოთა ადამიანებს, რომელნიც ებრძვიან ასეთ ვერაგ და გაცოფებულ მტერს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სავსებით გავანადგუროთ და მოვსპოთ ფაშისტი ქვეწარმავალი.

ომიანობის დროის სტახანოველები ცდილობენ იმუშაონ ორისა და სამის მაგიერ იმისათვის, რომ უფრო აქტიურად, უფრო წარმატებით დაეხმარონ ფრონტს.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის ერთერთ ახალ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ამ ბოლო დროს ფართოდ გაშლილი მოძრაობა ორასოვანთა — მუშათა და მუშა-ქალთა, რომელნიც სისტემატურად ასრულებენ ორ-ორ და მეტ ნორმას.

ჩვენს სტალინის სახელობის ქარხანაში ამჟამად 300-მდე ორასოვანია. იზრდება ორასოვანთა და იმათი რიცხვი, ვინც სისტემატურად ასრულებს ოთხ-ხუთ ნორმას.

ჩვენმა ორასოვნებმა დიდი ინიციატივა გამოიჩინეს შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში.

მექანიკური საამქროს ხარატმა გიორგი ქსოვრელმა თავისი ჩარხი ისე გადააკეთა, რომ ახლა ჩარხი წუთში გაცილებით მეტ ბრუნვას იძლევა. ამხ. ქსოვრელმა თავის ჩარხს გაუკეთა აგრეთვე სპეციალური მოწყობილობა დეტალების მისაყენებლად.

მექანიკური საამქროს მეორე ორასოვანმა — ახალგაზრდა მედაზგემ **ილია ჭუმბურიძემ** გააუმჯობესა ხრახნის ჭრის ტექნოლოგიური პროცესი. ამის შედეგად, მედაზგის შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაიზარდა.

ქარხნის ორასოვანთა შორის არიან ბრიგადირი **იოსებ მაჩაიძე** და მექვაბე **დავით კუჭავა**—საბარგო ვაგონების საამქროს მოწინავე მუშები. ბრიგადირმა **იოსებ მაჩაიძემ** ახლებურად მოაწყო შრომა თავის ბრიგადაში. ახლა მისი ბრიგადა ერთდროულად აწარმოებს ორ მნიშვნელოვან საწარმოო პროცესს.

ბევრმა ორასოვანმა მიაღწია ორი ნორმის შესრულებას პროფესიების შეთავსების გზით, რამდენიმე დაზგაზე მუშაობით. ასე მუშაობენ, მაგალითად, საბორბლე-სახარატო საამქროს მრავალდაზგოსანი ორასოვნები, ახალგაზრდა მუშები **ვასილ ჯავახიშვილი და გიორგი მუხიგულაშვილი**, ასე მუშაობს ამწყობი საამქროს გაბედული რაციონალიზატორი **სერგო აკოფოვი**. ორასოვანთა რიგებში არიან მოწინავე მუშები და მუშა-ქალები, წარმოების ძველი მუშა **იოსებ თეთრაძე**, საქვაბე საამქროს ხარატი **მარიამ სევასტიანოვა**, ზეინკალი **ივანე ბაგაური** და მრავალი სხვა.

ქარხნის ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, ჩვენი ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები— ამხ. **შ. ოქროსცვარიძე, გ. დაშნიევი, შ. თევზაძე, კ. კანუკოვი, მ. კუპრავა, ა. მასხარაშვილი** და სხვები — ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ორასოვნებს, ამ ახალ შესანიშნავ მოძრაობას.

შევასრულოთ ცვლაში ორ-ორი ნორმა, არანაკლები.

ორ-ორი ნორმიდან გადავიდეთ სამ-სამი და მეტი ნორმის შესრულებაზე.

ორასოვანთა ცალკეული წარმატებებიდან—ორასოვანთა ბრიგადებისა, კომპლექტებისა, ჭაბურღილებისა, უბნებისა და საამქროებისაკენ!

უფრო მჭიდროდ დავაკავშიროთ ორასოვანთა მოძრაობა პროფესიების შეთავსებისა და მრავალი დაზგის მომსახურების პრაქტიკასთან, ტექნიკურ-რაციონალიზატორული ინიციატივის გაშლასთან!

ასეთია ომიანობის დროის მოთხოვნები.

ჭიათურის მაღაროელებო, ტყვარჩელისა და ტყიბულის მეშახტეებო, შირაქის რაიონის ნავთის მრეწველობის მუშებო!

შეუპოვრად იბრძოლეთ მარგანეცის, ქვანახშირის, ნავთის მოპოვების გაორკეცებისათვის, ყოველნაირად გააფართოვეთ ორასოვანთა რიგები, გასწიეთ მათი გამოცდილების პოპულარიზაცია!

მანქანათმშენებლებო, დაზგათმშენებლებო, რკინიგზელებო, ფეიქრებო, საქართველოს მსუბუქი, ადგილობრივი, კვების, სატყეო მრეწველობის საწარმოთა მუშაკებო!

გამოუშვით მაღალი ხარისხის მეტი პროდუქცია ფრონტისა და ზურგის საჭიროებისათვის! უფრო ფართოდ გამოეხმაურეთ ორასოვანთა თაოსნობას, უფრო ფართოდ გაშალეთ სტახანოვური მოძრაობა ახალ მუშებსა და მუშა-ქალებში!

ძვირფასო ამხანაგებო! ფრონტზე გმირულად მებრძოლი და ზურგში თავდადებულად მშრომელი საბჭოთა ხალხის ძალები დღითიდღე იზრდება. ეს მტრის განადგურებისა და დაღუპვის მრისხანე მაუწყებელია.

მაშ კიდევ უფრო თავდადებულად ვიმუშაოთ **ლენინ-სტალინის** დიადი დროშის ქვეშ — თვითეულმა ორისა და სამის მაგიერ, კიდევ უფრო აქტიურად, უფრო წარმატებით დავეხმაროთ წითელ არმიას, სამხედრო - საზღვაო ფლოტს და სტალინურ ავიაციას კაციჭამიათა და ბარბაროსთა ფაშისტური ურდოების მთლიანად განადგურებასა და მოსპობაში!

თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ორასოვნები: მექანიკური საამქროს ხარატები **გ. ქსოვრელი, ი. ჭუმბურიძე, შ. ფაილაძე, დ. მარგველაშვილი, ნ. ცისკაძე, მ. მამაგეიშვილი**, ამწყობი საამქროს ხარატები—**ა. აკოფოვი, ნ. კოჩეტკოვი, ვ. ბერიაშვილი, ე. ტუზოვი**, საბარგო ვაგონების საამქროს მექვაბეები—**ი. მაჩაიძე, დ. კუჭავა**, საბორბლე-სახარატო საამქროს მრავალდაზგოსნები — **ვ. ჯავახიშვილი, გ. მუხიგულაშვილი**, საქვაბე საამქროს ხარატი — **მ. სევასტიანოვა**, საინსტრუმენტო საამქროს მედაზგეები—**ი. ხაჯალია, გ. ჯაბაშვილი**, მერესორე— **ლ. მანძულაშვილი**, შემდუღებლები — **ნ. დემეტრაშვილი, გ. ცარციძე, მ. ბირკაძე**, მსხმელები— **ვ. გაბროშვილი, გ. ბეროზაშვილი, ა. მუჯარიძე**, ელექტროსაამქროს მონტიორები —**ვ. რურუა, ს. ტუჩიანი**, დურგლები— **შ. თეთრაძე, ი. თეთრაძე, გ. ვერხვიაშვილი, ა. ვატინი**, სამგზავრო ვაგონების საამქროს მედაზგეები—**რ. ბედენაშვილი, დ. ფეიქრიშვილი, ს. ზადიკაშვილი**, საელმავლო საამქროს მედაზგეები—**ვ. ბეჟუაშვილი, ტ. ალავერდოვი.**

ლონდონის რადიოს მისალმება ლენინის ქალაქისადმი

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). 8 სექტემბერს სალამოს, უკანასკნელ ცნობათა გადაცემის დროს, ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კომპანიამ მისალმებით მიმართა ლენინგრადის მოქალაქეებს. მისალმებაში ნათქვამია: „ისმინე, ლენინგრადო! ლაპარაკობს ლონდონი. ლენინგრადის ჯარისკაცებო, მეზღვაურებო, მფრინავებო, მუშებო, მოქალაქენო! ლონდონის ჯარისკაცებმა, მეზღვაურებმა, მფრინავებმა, მუშებმა, მოქალაქეებმა მოისმინეს თქვენი მძლავრი ხმა. მდინარე თემზიდან პასუხს გითვლით ნევაზე. ლონდონი თქვენთან არის. თვითეული თქვენი გასროლა გამოხმაურებას ჰპოულობს ლონდონში. ლონდონი მიესალმება ლენინგრადის გმირობას. ინგლისის გმირი მფრინავები საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავებთან ერთად დაფრინავენ. წუხელ ინგლისის მრავალი ტონა ყუმბარა თავს დაატყდა ბერლინს. ლენინგრადელებო, გახსოვდეთ! თქვენს ქალაქზე ჩამოყრილი ყუმბარების პასუხად ყუმბარები ცვივა მტრის დედაქალაქზე. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება! გაუმარჯოს ლენინგრადს!".

ინგლისელ მოქალაქეთა მისალმება ლენინგრადის გმირი დამცველებისადმი

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). მრავალრიცხოვან მასობრივ მიტინგებზე ინგლისელ მოქალაქეებს გამოაქვთ ლენინგრადის გმირი დამცველებისადმი სოლიდარობის რეზოლუციები. ქალაქ მანჩესტერის მერმა ლორდმა ედვარდსმა მანჩესტერის ყველა პოლიტიკური პარტიის სახელით შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ლენინგრადის დამცველებს: „ჩვენ დიდად აღტაცებული ვართ თქვენი მოქალაქეების სიმტკიცით, მამაცობითა და იმ გმირული თავდაცვით, რასაც თქვენ ეწევით სასტიკი და გაგიჟებული მტრის იერიშების წინააღმდეგ".

ფაბრიკების მამასახლისთა კომიტეტი, რომელიც ინგლისელ მუშა მელითონეებს წარმოადგენს, თავის რეზოლუციაში უაღრესად საუკეთესო სურვილებს უთვლის კიროვის ქარხნის მუშებს.

ლენინგრადელებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი რეზოლუციები მიიღეს აგრეთვე ლია მიტინგებზე ლანელსა (სამხრეთ უელსი) და ამანფორდში.

ბრისტოლის მოქალაქენი—ოდესის მოქალაქეებისადმი

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). ბრისტოლში გამართულ მასობრივ მიტინგზე მიღებულია შემდეგი რეზოლუცია: „ბრისტოლის მოსახლეობა უგულითადეს ძმურ სალამს უძღვნის ოდესის მოქალაქეებს. ჩვენ თქვენთანა ვართ თქვენს შესანიშნავ ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ, რადგან ვიცით, რომ მთელი კაცობრიობის ბედნიერება, პროგრესი და მტკიცე მშვიდობიანობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ფაშიზმის მოსპობის შემდეგ. ბრისტოლის მოქალაქენი, რომლებმაც ესოდენ ბევრი რამ განიცადეს ფაშისტთა ურდოებისაგან, საქვეყნოდ აღგითქვამენ ყოველივე შესაძლებელი გააკეთონ, რათა დაგეხმარონ თქვენს გმირულ ბრძოლაში მთელი კაცობრიობის მტრის წინააღმდეგ".

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ თემთა პალატაში სამხარი მოქმედების მიმოხილვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი. დასაწყისში იგი შეეხო თავის შეხვედრას რუზველტთან და აღნიშნა, რომ მათ შეთანხმებას მიაღწიეს ოთხ ძირითად საკითხში, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ ომთან. პირველი, მიღებულ იქნა 8 მუხლისაგან შემდგარი დეკლარაცია იმ პრინციპებისა და მიზნების შესახებ, რომლებითაც ამჟამად ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ; მეორე, შემუშავებულია ღონისძიებანი რუსეთისათვის დახმარების გაწევისა მის წინააღმდეგობაში ჰიტლერის თავდასხმისადმი; მესამე, განსაზღვრულია პოლიტიკა იაპონიის მიმართ „იმ მხრივ, რომ, თუ შესაძლებელი იქნება, შეწყვეტილ იქნას შორეულ აღმოსავლეთში შემდგომი აგრესია, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ინგლისისა და შეერთებული შტატების ინტერესებს უშიშროებას, იმ ანგარიშით, რომ დროული მოქმედებით თავიდან იქნას აცილებული ომის გავრცელება წყნარ ოკეანეში; მეოთხე, განხილულ იქნა მრავალი ტექნიკური საკითხი. ჩერჩილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ინგლის-ამერიკის ერთობლივი დეკლარაციის მესამე პარაგრაფის შემცველი სიტყვები: „ნაციონალ-სოციალისტური ტირანიის საბოლოო მოსპობის შემდეგ" ცხადჰყოფენ ამ დეკლარაციის ღრმა ხასიათს.

შემდეგ ჩერჩილი შეეხო ატლანტიკისათვის ბრძოლას. მან აღნიშნა, რომ ინგლისისა და მოკავშირეთა ფლოტების ზარალი ივლისსა და აგვისტოში ცოტათი აღემატება გერმანიისა და იტალიის ფლოტების ზარალის ერთ მესამედს. ეს მიღწეულ იქნა იმ ახალი ტაქტიკის წყალობით, რომელსაც ახორციელებენ სანაპირო თავდაცვის ავიაცია, ყუმბარმშენი ავიაცია და წყალქვეშა ნავები. ამასთან ერთად ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა—არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ატლანტიკისათვის ბრძოლა უკვე მოგებულია, რადგან ჰიტლერი ეცდება, რადაც უნდა დაუჯდეს, ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ატლანტიკით სამხარი მასალის გადმოზიდვას.

შემდეგ ჩერჩილმა დაწვრილებით მიმოიხილა ოპერაციების მიმდინარეობა ერაყში, სირიასა და ლიბიაში. მან აღნიშნა, რომ ნილოსის არმიის მიერ სირიის ოკუპაციამ უზრუნველჰყო კვიპროსის უშიშროება, და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზზე ინგლისის საზღვაო და საჰაერო კონტროლი ეფექტიანი გახდა. „ჩვენ, სთქვა ჩერჩილმა, პირდაპირი კონტაქტი დავამყარეთ ჩვენს თურქ მეგობრებთან და კონტროლი მოვიპოვეთ ნავთსადენისა და სხვა რესურსებისადმი. აღმოსავლეთის ფლანგზე ნილოსის არმიამ მძიმე ლახვარი ჩასცა იტალია-გერმანიის ძალებს, რომლებმაც ხელთ იგდეს კირენაიკა. გერმანელთა ტრაბახი—მასის დამლევს სუეცის არხის რაიონში ვიქნებით — ლიტონი ლაყბობა აღმოჩნდა". ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ნილოსის არმიამ მძლავრი მაშველი ძალები მიიღო, და რწმენა გამოსთქვა, რომ ინგლისელები შესძლებენ წარმატებით დაიცვან ეგვიპტე დასავლეთის უდაბნოთი გერმანელთა შესევის ცდებისაგან.

შემდეგ ჩერჩილი გადავიდა აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებული ბრძოლის საკითხებზე.

მან განაცხადა, რომ რუსეთის არმიების ბრწყინვალე წინააღმდეგობა ეჭვს აღარ სტოვებს, რომ ჰიტლერს გაუცრუვდება რუსეთთან ხანმოკლე ომის იმედი. ჰიტლერმა უკვე დაღვარა გერმანელ ჯარისკაცთა მეტი სისხლი, ვიდრე წარსული ომის რომელიმე მთელი წლის განმავლობაში. იგი ამჟამადვე დგას აუცილებლობის წინაშე, რომ რუსეთის მკაცრი ზამთრის პირობებში და ენერგიული კონტრიერიშების დროს, რაც მოსალოდნელია რუსეთის არმიებისაგან, ხელი შეუწყოს არქტიკიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულ მთელს ფრონტზე განლაგებულ თავის არმიებს არასაკმაო და ისეთი კომუნიკაციებით, რომლებიც თავდასხმას განიცდიან.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლის-ამერიკა-რუსეთის თათბირის ამოცანას შეადგენს დახმარება გაუწიოს საბჭოთა არმიის შემდგომ უზრუნველყოფას საჭირო საშუალებებით. ამ თათბირზე ამერიკის დელეგაციას მეთაურობას გაუწევს ჰარიმანი, ინგლისისას — ბივერბრუკი. „ჩვენ, განაცხადა ჩერჩილმა, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ დიდი მსხვერპლი გავიღოთ საკუთარი თავის სამხარი მასალით უზრუნველყოფის მხრივ, რათა დავაკმაყოფილოთ რუსეთის საჭიროება" (ტაში).

შეეხო რა ირანის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებებს, ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ისინი ნაკარნახევი იყო ამ ქვეყანაში გერმანიის ოინების ჩაფუშვის აუცილებლობით. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ირანის მთავრობას წაყენებული აქვს მოთხოვნა დაუყოვნებლივ გააძევოს ირანიდან ტევტონელი სტუმრები და გასცეს იქ მყოფი ყველა გერმანელი და იტალიელი. „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, — განაგრძო ჩერჩილმა, — რომ გერმანიისა და იტალიის მისიები გაძევებულ იქნან ირანიდან". რეზიუმე გაუკეთა რა თავის მიმოხილვას, ჩერჩილმა სთქვა: თუმცა ჯერ კიდევ ნაადრევია სასიხარულო წინასწარმეტყველებანი, მაგრამ ინგლისს მაინც შეუძლია სთქვას, რომ იგი არის „თავისი ბედის ბატონ-პატრონი და თავისი სულის მპყრობელი".

სამხარი მოქმედება ევროპასა და აფრიკაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის საზღვაო ფლოტის მსუბუქი ძალები კონტრ-ადმირალ ვაიენის სარდლობით წარმატებით დაესხნენ თავს გერმანიის გემების ქარავანს. ჩაძირულია გერმანიის საესკადრო ნაღმოსანი, შეიარაღებული ტრალერი და კიდევ ერთი ხომალდი. გერმანიის მსუბუქი კრეისერი „ბრემზე", რომელიც ივლისში კირკენესზე ინგლისის საზღვაო ავიაციის თავდასხმის შედეგად დაზიანდა, როგორც ეტყობა, ჩაიძირა. დაზიანდა სხვა გემებიც. ინგლისის საზღვაო ძალებს ზარალი არ მოსვლიათ.

7 სექტემბერს ღამით ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის მძიმე ყუმბარმშენები წარმატებით დაესხნენ თავს პალერმოს (სიცილია) ნავსაყუდელს. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა სასაწყობო შენობებს, დოკებს და მთავარ მოლოებს. ბევრ ადგილას გამოწვეულ იქნა აფეთქება და ხანძარი, რომლის ალი 30 კილომეტრ მანძილზე სჩანდა.

სამხრეთ აფრიკის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა დერნას, კაპუცოს ფორტს და ბარდიას.

მტრის თვითმფრინავებმა 8 სექტემბერს ღამით რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს მალტის ცალკეულ რაიონებში. მოკლულია ერთი კაცი, დაჭრილია რამდენიმე. ბომბარდირებისაგან დაზიანდა ჰოსპიტალი. დაზიანდა აგრეთვე სამოქალაქო ქონება. გუშინ დილა-ადრიან გერმანიისა და იტალიის ავიაცია თავს დაესხა ჰაიფას. ზარალი უმნიშვნელოა, მსხვერპლი არ არის.

პორტუგალიაში ესპანური გაზეთების გაყიდვა აკრძალეს

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ პორტუგალიაში აკრძალეს 9 ესპანური გაზეთის გავრცელება. ეს ღონისძიება იმის პასუხია, რომ ესპანეთის მთავრობამ აკრძალა ლისაბონის ორი უდიდესი გაზეთის გაყიდვა და გავრცელება ესპანეთში იმის გამო, რომ ისინი საბჭოთა სამხარ ცნობებს აქვეყნებდნენ.

თურქული გაზეთი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის შესახებ

სტამბოლი, 10 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „აქშამი" სწერს: გერმანია საბჭოთა რუსეთში ისეთ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, როგორიც მას ჯერ კიდევ არსად არ შეხვედრია. ეს იმით აიხსნება, რომ სსრ კავშირს მოეპოვება ადამიანთა უდიდესი რეზერვები, წინდაწინ დამზადებული საომარი მასალა და იარაღი. ეს აგრეთვე აიხსნება მებრძოლთა თავგანწირულობითა და მეთაურთა შემადგენლობის ნიჭიერებით. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგობის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს მამულის სიყვარული და დისციპლინა. რუსეთში ჩვენ იმას ვერა ვხედავთ, რაც საფრანგეთში იყო. აქ არ არსებობს „მეხუთე კოლონა", რომელიც მტრის შესევას მოელოდა.

„საბჭოთა კავშირის ხალხები, დაასკვნის გაზეთი, წინააღმდეგობას განაგრძობენ მტრის ზურგშიც. მტრის ზურგში დარჩენილი საბჭოთა ადამიანები არავითარ ამოცანას არ ისახავენ, გარდა მტერთან ბრძოლის ამოცანისა. ამრიგად, ჩვენი აზრით, მორალური ფაქტორი საბჭოთა წინააღმდეგობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. ამ წინააღმდეგობის საფუძველს შეადგენს ხალხთა უმაგალითო ერთობა და თავდადებულობა თავიანთი სამშობლოს დასაცავად".

გერმანია ფეხს იკიდებს ესპანეთში

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" იუწყება, ესპანეთის მოსახლეობა სულ უფროდაუფრო აშკარად გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას ფრანკოს მთავრობისადმი. ესპანეთის ბევრ რაიონში პარტიზანები აშკარა ბრძოლას ეწევიან ფალანგისტებთან.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ფრანკო და სუნიერი დასთანხმდნენ გაატარონ ესპანეთით გერმანიის ჯარები, რომლებიც გადაყვანილი იქნებიან გიბრალტარზე თავდასასხმელად. გერმანიის გენერალური შტაბი ფიქრობს, რომ გიბრალტარის დაპყრობა შეიძლება 20 ათასი ჯარისკაცის საშუალებით. გერმანელი ინჟინრები და ტექნიკოსები ამჟამად აეროდრომებს აგებენ სამხრეთ ესპანეთში, სადაც უკვე ჩაფრინდნენ გერმანიის თვითმფრინავები. ჩრდილოეთ ესპანეთში ოტელების უმრავლესობა რეკვიზირებულია გერმანელთათვის. ესპანეთის ჯარები მაროკოში იგზავნებიან, ალბათ, გიბრალტარზე შეტევისათვის გამოსაყენებლად. ტანჟერის სანაპიროზე ესპანელებმა მძიმე არტილერია გამართეს.

მუსოლინის ყოფილი მომხრის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი (საკდესი). ნიუ-იორკში გამომავალ იტალიურ გაზეთ „ილ პროგრეს იტალო-ამერიკანოს" ცნობილმა გამომცემელმა ჯენეროზო პოპემ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუსოლინის მხურვალე მომხრე და პროპაგანდისტი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში" განაცხადა, რომ იგი ოპოზიციაში უდგას ლერძის სახელმწიფოებს. „რაც უფრო მალე იქნება მოსპობილი ჰიტლერი და ღერძის სახელმწიფოები, მით შორის მუსოლინიც, მით უკეთესი იქნება მსოფლიოსათვის. იტალია არის ღერძის არა მარტო წევრი, არამედ ამ ღერძის მსხვერპლიც".

ქ. თბილისის საცხოვრებელ სახლებში ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხაზით მორიგეობის დაწესების შესახებ

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1941 წ. 6 სექტემბრის დადგენილება

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე უკლებლივ ყველა სახლში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა უწყებას ეკუთვნის იგი, დაწესდეს მორიგეობა ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხაზით.

2. ქ. თბილისის საცხოვრებელ სახლებში ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ხაზით მორიგეობაში ჩაბმულ იქნას მოცემულ სახლში მცხოვრები ყველა მოქალაქე: ქალები 18-დან 50 წლამდე ასაკისა და მამაკაცები 16-დან 60 წლამდე ასაკისა.

3. საცხოვრებელ სახლში მორიგეობისაგან თავისუფლდებიან:

ა) ასთ შტაბებისა და რაიონულ ფორმირებათა უფშემადგენლობა და რიგითი შემადგენლობა;

ბ) საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები სათანადო რაიონის ასთ უფროსის მიერ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დამტკიცებული სიის თანახმად;

გ) კავშირგაბმულობის მუშაკები—საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობა და ექსპლოატაციის დარგის მუშაკები, რომლებიც ცვლებად მუშაობასთან არიან დაკავშირებული;

დ) სახანძრო დაცვის ოპერატიულ-სამწყობრო შემადგენლობა;

ე) ორსული ქალები 35 დღით ადრე მშობიარობამდე და 28 დღის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ; ის პირები, რომლებსაც დროებით დაკარგული აქვთ შრომისუნარიანობა ავადმყოფობისა და დასახიჩრების გამო, იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა შრომისუნარიანობის აღსადგენად; შრომისა და ომის ინვალიდები (1-ლი და მე-2 კატეგორია); ქალები, რომლებსაც ძუძუთა ბავშვები ჰყავთ, აგრეთვე ქალები, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები 8 წლის ასაკამდე, თუ ოჯახში არ არიან სხვა მოზრდილები (მოზრდილებად ითვლებიან მამაკაცები 16 წელს ზევით, ქალები 18 წელს ზევით).

4. საცხოვრებელ სახლებში ასთ ხაზით მორიგეობა წესდება დაბინდებიდან და გრძელდება სრულ გათენებამდე. ერთსადაიმავე დროს მორიგეობს ორი კაცი, ერთი მათგანი ინიშნება უფროსად.

5. მორიგეთა შეცვლის დროსა და წესს ადგენენ სახლთა მმართველები, კომენდანტები, თვითდაცვის ჯგუფების უფროსები და სახლთა რწმუნებულები. ცალკეულ მოქალაქეთა საერთო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს ორსაათიან მორიგეობას დღეგამოშვებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ სახლის მცხოვრებთა რაოდენობა მცირეა, მორიგეობისათვის შეიძლება გაერთიანდნენ რამდენიმე მეზობელი სახლის (2-3) მცხოვრებლები; ამ შემთხვევაში მორიგე განწესი მოძრავი უნდა იყოს და უნდა უზრუნველჰყოფდეს მორიგეობისათვის გაერთიანებული სახლების მეთვალყურეობას.

7. მორიგედ დანიშნული ყველა პირი წინასწარ უნდა იქნას გაფრთხილებული მისი მორიგეობის დროის შესახებ და უნდა გაეწიოს ინსტრუქტაჟი საცხოვრებელ სახლებში ასთ ხაზით მორიგეების მოვალეობათა შესახებ. ინსტრუქტაჟს ჩაატარებენ სახლთა მმართველები, კომენდანტები, თავდაცვის ჯგუფების უფროსები ან სახლთა რწმუნებულები.

მორიგე განწესი შემდგომი ცვლის მიერ მორიგეობის დაწყების წინ 15 წუთით ადრე განმეორებით აცნობებს იმ პირთ, რომლებიც მორიგეობას უნდა შეუდგნენ.

8. მუშები, მოსამსახურეები და მოსწავლეები საცხოვრებელ სახლებში მორიგეებად დანიშნულ იქნან იმ ვარაუდით, რომ მათმა ცვლამ მორიგეობა გაათავოს ღამის პირველ საათამდე.

9. საცხოვრებელ სახლში ასთ ხაზით მორიგე ხელმძღვანელობს საცხოვრებელ სახლში ასთ ხაზით მორიგეთა დებულებით, რომელიც ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის მიერ არის გამოცემული.

10. შეუფერხებელი მორიგეობის მოწყობისა და წესრიგისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახლთა მმართველებს, საუწყებო სახლების კომენდანტებს, სახლთა რწმუნებულებს, ხოლო პირად მესაკუთრეთა სახლებში—თვით ამ მესაკუთრეებს.

11. სახლთა მმართველები და კომენდანტები, რომლებიც ვერ უზრუნველჰყოფენ მორიგეობის სწორ ორგანიზაციას და საცხოვრებელი სახლების საიმედო დაცვას, მიცემულ იქნან პასუხისგებაში დისციპლინარული წესით სამსახურის ადგილის მიხედვით.

ის პირნი, რომელნიც თავს აარიდებენ მორიგეობას, და სახლთა პირადი მესაკუთრენი ამა დადგენილების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმებულ იქნან ადმინისტრატიული წესით 100 მანეთამდე.

12. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრებათ მილიციის ორგანოებს.

13. ეს სავალდებულო დადგენილება, „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ და მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დებულების" მე-9 პარაგრაფის საფუძველზე,—ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კოპლამაზაშვილი**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი **ხეთაგური**

მარჯანიშვილის თეატრის სეზონის გახსნა

მარჯანიშვილის თეატრმა 1941-42 წლის სეზონი გახსნა 10 სექტემბერს კ. ფინისა და მ. გუსის ისტორიული პიესით „ბერლინის გასაღები".

პიესა დასდგა და მხატვრულად გააფორმა რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ: პ. კობახიძე (პორუჩიკი კარტაშევი), ს. ზაქარიაძე (თრიდრიხი), ს. ჟორჟოლიანი (შლეზვიგ), ს. თაყაიშვილი (ლუიზა), კ. კვანტალიანი (შულცე), მ. ქორელი (ხრისტინა), ა. გომელაური (ივანოვი), შ. გოცირელი (გერსკე) და სხვ.

სეზონის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. სპექტაკლი წარმატებით ჩატარდა.

სპექტაკლის დასასრულს რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი და მსახიობები მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ბახჩისარაის შადრევანი", რუსთაველის სახელობის — „ოლატი", მარჯანიშვილის სახელობის—„ბერლინის გასაღები".

კინოებში: რუსთაველის სახ., დამკვრელი—„საბრძოლო კინოკრებული № 3", ოქტომბერი—„ტორჟოკელი თერძი", კომკავშირელი (ზამთრის) — „შვიდი მამაცი", კომკავშირელი (საზაფხულო)—„ამანგელდი", სპარტაკი — „საბრძოლო კინოკრებული № 2", ლუქსემბურგის სახ. —„კაცი რესტორანიდან", 26 კომ. სახ. (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს სარდიონ ივანეს-ძე მაკიშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში (ოთახი № 75) ამხ. ბარსეგოვასთან.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2846557, გაცემული რაჟდენ მელიტონის-ძე ცანავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლექცია

14 სექტემბერს, დღის 2 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო სააგიტაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო პუნქტში და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების რაიონულ სააგიტაციო პუნქტებში.

ტრამვაის მოძრაობა

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ დააწესა ქალაქში ტრამვაისა და ტროლეიბუსის ვაგონების მოძრაობის ახალი საათები.

ტრამვაის ვაგონების და ტროლეიბუსის მოძრაობა იწყება დილის 6 საათზე და სწყდება ღამის 1 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

სტალინის სახელობის ქარხნის ორასოვანთა პირველი თათბირი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში შესდგა პირველი თათბირი ორასოვან მუშებისა და მუშა-ქალებისა, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ არანაკლებ ორი ნორმისა.

თათბირზე 200-ზე მეტი სტახანოველი შეიკრიბა.

ორასოვანთა თათბირი გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. **ი. ნეფარიძემ.**

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის ამხ. **ვ. გ. გრიგორიანის** მოხსენების შემდეგ — „ორასოვანთა ამოცანები სამამულო ომის პირობებში" — თათბირზე გამოვიდნენ საამქროთა სტახანოველები.

ახალგაზრდა სტახანოველი ამხ. **ტუზოვი** თათბირის დამსწრეთ უზიარებს თავისი საწარმოო მუშაობის გამოცდილებას.

— ომის პირველი დღიდან, — ამბობს იგი, — მუდამდღე ვასრულებ არანაკლებ ორი ნორმისა. ბრიგადა, რომელშიც მე ვმუშაობ, ორთქლმავლის არმატურას ამზადებს. ჩვენ გულმოდგინედ ვიყენებთ ყველა ნარჩენებს, ვუფრთხილდებით ყოველ კილოგრამ ლითონს. გაცვეთილი დეტალები— რგოლები, შტუცერები, ქანჩები და სხვ. — ჩემს სახარატო ჩარხზე გაჩარხვის შემდეგ კვლავ უკეთდება მანქანას. ჩემს ბრიგადაში მომუშავე ამხანაგი — ხარატი ოგანეზოვი საწარმოო დავალებას ვერ ასრულებდა. მე მას დავეხმარე. ახლა ამხ. ოგანეზოვი გეგმას ასრულებს. არის დღეები, როდესაც იგი 100 პროცენტზე მეტს იძლევა. ვცისრულობ ვალდებულებას ისეთი დახმარება გავუწიო ამ ამხანაგს, რომ ისიც ჩადგეს ორასოვანთა რიგებში.

— ორასოვანი შეიძლება იყოს ყოველი მუშა. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა გავამრავლოთ ორასოვანთა რიგები, ვიშრომოთ ისე, რომ ქარხანაში ორასოვნები იყვნენ არა მარტო ცალკეული მუშები, არამედ ბრიგადებიც, საამქროებიც, — ამთავრებს თავის გამოსვლას ამხ. ტუზოვი.

ორასოვანთა რიგების გაფართოებისაკენ, ნორმების ერთისამად და მეტად შესრულებისაკენ მხურვალე მოწოდებით თათბირზე გამოვიდნენ ამხანაგები **ილია ჭუმბურიძე და დავით კუჭავა.**

— ამჟამად მექანიკური საამქროს თითქმის ყველა ხარატი, — ამბობს ამხ. ჭუმბურიძე, — ორ, სამ და მეტ ნორმას ასრულებს. მოხარატების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით მე გავადიდე ჩემი ჩარხის ნაყოფიერება.

მექვაბე დ. კუჭავა ხაზს უსვამს ორასოვანთა გამოცდილების გადაცემისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობას.

შემდეგ გამოდის საქვაბე საამქროს ხარატი **მ. სევასტიანოვა.** მან ამ ქარხანაში მუშაობა სამი წლის წინათ დაიწყო. მუშაობდა დამლაგებლად.

ჩემი ოცნება იყო ამეთვისებინა სახარატო საქმე, — ამბობს ახალგაზრდა მუშა-ქალი. — ეს ოცნება განხორციელდა. უკვე წელიწადზე მეტია დამოუკიდებლად ვმუშაობ ჩარხთან და ომის დაწყებიდან ვასრულებ არანაკლებ ორი ნორმისა. გუშინ ოთხი ნორმა შევასრულე. ამაში უჩვეულო არაფერია. საჭიროა ასე ვიმუშაოთ სამამულო ომის დღეებში, როდესაც ქვეყანა თვითეული ჩვენგანისაგან თავდადებულ შრომას მოითხოვს.

მარია სევასტიანოვამ თბილისისა და საქართველოს საწარმოთა ყველა მუშა-ქალს მიმართა მოწოდებით უფრო სწრაფად აითვისონ საწარმოო პროფესიები, შეასრულონ არანაკლებ ორი ნორმისა, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ გმირული წითელი არმიის მებრძოლებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში.

სტახანოველ ორასოვანთა ჯგუფმა წინადადება შეიტანა მიღებული ყოფილიყო მიმართვა საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშისა, მუშა-ქალებისა, საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისადმი ორასოვანთა მოძრაობის გაშლის შესახებ.

ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. **მიქიაშვილი** კითხულობს მიმართვის ტექსტს. თათბირმა ეს მიმართვა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო. ორასოვანთა პირველი თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **კვაჭაძემ** და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. **ბაიდაშვილმა.**

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

ყველა ჩვენს შესაძლებლობას მოვახმაროთ ფაშიზმის განადგურების საქმეს

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო საქარხნო კრებაზე გამოსულმა სტახანოველმა მ. ლოძინსკაიამ განაცხადა:—ჩვენი სურვილი და მოვალეობაა რითაც შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს არმიას. ჩამომსხმელი საამქროს მუშებმა დამავალეს განვაცხადო, რომ გადავწყვიტეთ გადავრიცხოთ ერთი დღის ხელფასი და ამით შევიძინოთ საზამთრო ტანსაცმელი ჩვენი წითელი არმიისათვის.

სამოდელო საამქროს მოწინავე მუშამ ამხ. დ. გოზალიშვილმა კრებაზე განაცხადა, რომ წითელარმიელთათვის თბილი ტანსაცმლის დასამზადებლად შემოაქვს 50 მანეთი ფულად და 8 კილოგრამი მატყლი.

ასეთივე განცხადებით გამოვიდნენ ამხანაგები—ტ. შრეკინკროტოვა, ა. ალაპოვი, გ. მიხაილოვი და სხვ.

300 ქურთუკი. წინდა. ხელთათმანი

თბილისის ტრიკოტაჟკომბინატის 800-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ქალი აღფრთოვანებით შეხვდა მოსკოვის მოწინავე ქალთა მიმართვას მთელი მსოფლიოს ქალებისადმი. ამ მიმართვის, გმირი წითელი არმიისადმი დახმარების გაძლიერების, წითელარმიელთათვის თბილეულის შეგროვების საკითხებზე ლაპარაკობდნენ ისინი გუშინ, საერთო კრებაზე. გულდასმით ისმინდნენ კომბინატის დირექტორის ამხ. ნ. თუშიშვილის ინფორმაციას, სტახანოველთა გამოსვლებს.

მრავალდაზგოსანმა მგრეხავმა ამხ. კლინოვამ აღნიშნა, რომ ტრიკოტაჟკომბინატის კოლექტივს დიდი შესაძლებლობა აქვს თბილეულის შეგროვების საქმეში.

კომკავშირელმა ბაბუცა ბახტაძემ თავის ამხანაგებს მოუწოდა:—თვითეულმა ჩვენგანმა ჩვენივე ხელით სათუთად მოვქსოვოთ თბილი წინდები, ხელთათმანები, სვიტერები და გავუგზავნოთ ფრონტს. მრთველმა ამხ. გულინამ კრებაზე განაცხადა, რომ ის გზავნის ქურთუკს; კომკავშირელი, მეჩულქე ამხ. ჟადანოვა—სვიტერს.

ტრიკოტაჟკომბინატის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ფ. მაცუკატოვმა კომბინატის კოლექტივს მოუწოდა დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს საწარმოო დავალებანი, კიდევ უფრო აამაღლოს პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კომბინატის კოლექტივი ფართოდ გამოიყენებს წარმოების ნარჩენებს, რასაც თვითონვე შეისყიდის და უსასყიდლოდ დაამზადებს თბილ ტანსაცმელს, პირველ ოქტომბრამდე ფრონტს გაუგზავნის 300 ცალ ქურთუკს, წინდებს, ხელთათმანებს...

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო, — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედრო — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამოშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 18017.